


სევდიანი ოპტიმისტი

„მე მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნებას უნდა ვემსახურო! ვფიცავ, ვერაფერი დამიდგება წინ ამ დიადი მიზნის მისაღწევად! ვფიცავ, მარად ერთგული ვიყო ჩემი დევიზისა – წინ, ხელოვნებისაკენ! და თუ ოდესმე ამ ფიცს ვუღალატებ, ვუღალატებ ჩემი ცხოვრების პრინციპს, დაე, თავს დამატყდეს ყველანაირი ბოროტება და უბედურება. წინ! ხელოვნებისაკენ!“





၁၆၁၀၉ တုဂန္ဂနိုင်ဒေသ

ხისშევილის სახელს ატარებს) პატარა, ჟალიურ ეზოში ცხოვრობდა. მიშას მიმა ნარმოშობით რუსი იყო - ივან რუფანოვი, დედა კი ქართველი ქალ-ტრინი გახლდათ - თამარ თუმანიშვილი. თავდაპირველად მათი შვილები - შეა და ნინა, მამის გვარს ატარებდნენ, შეა თბილისის 42-ე საშუალო სკოლაში რუფანოვის გვარით მიიყვანეს, თუმცა შალლესში ჩაბარების წინ, რატომძაც, ედის გვარზე გადასვლა გადაწყვიტა.

ცამეტი წლის იყო, როდესაც
უსთაველის თეატრში, სანდრო ახმე-
ტელის სპექტაკლი „ყაჩაღი“ – „ინ ტი-
პონოს!“ ნახა და პირველი თეატრალური
სოკი „მაშინ მიიღო! ბიჭი ისე მოიხიბლა
იხე-კოშკებით, შთამბეჭდავი დეკორა-
ციით და, რაც მთავარია, სამართლიანო-
სთვის მეძმოლი მამაცი ადამიანებით,
ომ რამდენიმე კვირის განმავლობა-
ში ადგილს ვერ პოულობდა, სულ ამ
უკეტაკლზე ფიქრობდა, „ყაჩაღებს“ თა-
სებურად თამაშობდა – მის გონებაში
ოთხ ყოველი ხე ბოჰემიის ტყის ნაწილი
ხდა, სარდაფი კი – ტავერნა, სადაც
თექმულები იკრიბებოდნენ და აჯანყე-
სა ამზადებდნენ, ეზოში ყველა კედელი
უკეტაკლის მიზანსცენებით მოხატა –
კი ველარ აიტანა მეზობელმა ქალმა,
უბრაზდა და ნახატები ნაუშალა, თუმ-
ა მეორე დღეს მიშამ მას ახალი მოხატ-
ლობა დაახვედრა.

მომავალი რეჟისორის კიდევ ერთი ნასაკუთრებული თეატრალური შთაბეჭილება 1934 წელს, ნაღვერის მახლობლად მდებარე სოფელ ტაში გამართული ითელქუდას” პრემიერას უკავშირდება: უკვები დილიდან ეზიდებიან ტყიდან ვეს და სათუთად ფარავენ დიდი აივ-ს იატაკს, „სცენა“ ყველა მხრიდან საბბითა და ზეწრებით შემოუსაზღვრავთ. მდევ პატარა ნაძვები მოაქვთ და საგრებენ – უნდათ დეკორაცია ნამდობ ტყეს დაამსგავსონ. მსახიობებიც ულმოდებინედ ემზადებიან – მგელს სხეზე მურს უსვამენ, ბებიას კი უხვადრიან პუდრს – სხვა გრიმი არ გააჩათ. ნითელქუდამაც ჩაიცვა თავისი ისტიუმი, მოირგო ქუდი, ერთი-ორი პეტიციაც გაიარეს და მაყურებელიც იიჩემს. პატარა სცენისმოყვარებს იმ ღეს განსაკუთრებული სტუმრები ჰყდათ – მაყურებელთა შორის მათი იმბლები და რუსთაველის თეატრის ილვანები ისხდნენ: სანდრო ახმეტელი, ირაკლი გამრეკელი, დიმიტრი ავაია, კუკური პატარიძე. მიუხედავად

{ мільшас ხელოვნებისადმი ფანატი-
კური სიყვარული ბავშვობიდანვე
გამოჰყევა - ბიძაშვილებთან ერთად
ხშრად დაპყავდათ ოპერაში, ცირკ-
ში, თეატრში... დედა - თამარ თუ-
მანიშვილი შესანიშნავად მღეროდა რუ-
სულ რომანსებს, ოპერაზე შეყვარებული
ბავშვები კი სახლში სხვადასხვა თპერი-
დან არიებსა და დუეტებს ასრულებდნენ.
თუმცა ყველაფერს მაინც საკუთარი თო-
ჯვინების თეატრი ერჩივნათ, რომელიც
ერთხელ ბიძამ გამოუქრა მუყაოსგან.
ფუნქციები რომ გაინაწილეს, ზოგმა
რეჟისორიბა ითავს, ზოგს მუსიკალურ
ვაფორმებაზე ზრუნვა დაევალა, მიშას
კი დეკორატორის თანამდებობა შეხვდა,

მის გონიერებაში ეზოს ყოველი ხე
ბოჭემიის ტყის ნაწილი გახდა, სარდაფი
კი – ტავერნა, სადაც შეთქმულები
იკრიბებოდნენ და აჯანყებას ამზადებდნე

მისა, რომ ფაფახინან მგელს შუა წარმოდგენაში უცებ ტექსტი აავინიყდა და მაყურებელმა სპექტაკლი მხოლოდ სანახევროდ ხილა, ტაში მაინც დაიმსახურეს, მიშამ კი, იმპროვიზაციის წარი იქვე გამოამჟღავნა და უხერხული მდგომარეობის გა-ოსასწორებლად, ფიგაროს კავატინა და მეფისტოფელის არია ეასრულა. საპატიო სტუმრები კმაყოფილები მიუსხდნენ სუ-კრას, ჩაის სმას და თავიანთ საუფროსო საქმეებზე საუბარს ეცყვნენ, მიშამ კი გვიანობამდე ვერ დაიძინა, იმ დღეს მიღებ-ლი შთაბეჭდილებები მთელი ცხოვრების მანძილზე გაპყვა და ემდეგ, მისი ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლის, „ჭინჭრაქას“ აფუძვლად იქცა...

სკოლაშიც დგამდა სპექტაკლებს და თავი „ნამდვილ ხე-
ლოვანად“ მოჰქმნდა, პარალელურად ბევრს ხატავდა და ეს
აქმეც დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, ამიტომაც ვერ გადაეწყვიტა
რექილექტურა უფრო მოსწონდა თუ თეატრალური ხელოვნება.
რთხელ, მერვე კლასში, ახალი სტილის სათეატრო ნაგებობის
ექმნის იდეა გაუჩნდა, დიდი პროექტი დახაზა და შესაბამისი
აკეტიც გააკეთა – ახალბედა არქიტექტორმა ერთ შენობაში
ოაქცია ოპერა, დრამატული თეატრი და ცირკი.


15 წლის რომ გახდა, მამამ მოზრდილი, სქელყყდიანი რვეუ-
ლი აჩუქა და უთხრა – წერე, გამოგადგება, რაც აგაღელვებს,
ველაფერი ჩანერეო. მიშამ მამას დაუჯერა და მას მერე დღი-
რის წერა მთელი ცხოვრების მანძილზე არ შეუწყვეტია. სკოლა
ორმ დაამთავრა, მიშამ დღიურს ასეთი ფიქრი გაანდო: „...სიზ-
არში მგონია თავი! ჩაიარა ათმა გრძელმა წელიწადმა... და-
ამთავრე სკოლა, მივიღე წარჩინების ატესტაცი. როგორ მოვ-
ცე მომავალში? სად გავაგრძელო სწავლა? მოსკოვში?!“ ვერ
ადაეწყვიტა მოსკოვის არქიტექტურულ ინსტიტუტში ეცადა
ედი, გიტისში თუ კინემატოგრაფიის ინსტიტუტში, კინორე-
ისორობაც ხიბლავდა, თეატრიც და არქიტექტურაც. დაბნეუ-
ლობის მიუხედავად, ერთ რამეში ნამდვილად დარწმუნებული
ყო - ის აუცილებლად უნდა ემსახუროს ხელოვნებას! „მთა-
არია არ აგყვე ქალების ცდუნებას! ეს დამღვრებულია!“ - იქვე
იუნერია 18 წლის მიხეილ თუმანიშვილს. საბოლოოდ არჩევანი
აინც არქიტექტურულ ინსტიტუტზე შეაჩერა, თუმცა, საუბე-
უროდ (თუ საბედნიეროდ), გამოცდები ვერ ჩააბარა - ხატ-
აში ჩაიჭრა და შინ გულდანყვიტილი და დაბნეული დაბრუნდა.


თბილისში კი იმ დროს საშინელება ტრიალებდა. 30-იანი ლების ბოლო იდგა. ხალხს უკვე ერთმანეთის შეში გასჩენოდა, უფლიობდნენ „იმათ“ თვალში არ მოხვედროდნენ, ადამიანები ამით სახლებიდან მიჰყავდათ და სადღაც უჩინარდებოდნენ... იშას კარგად დაამახსოვრდა ის დღე, როდესაც მისი კლასელი იუვან ჩიხლაძე სასკოლო კრებაზე გამოიყვანეს და აიძულეს საუთარი მშობლები საჯაროდ დაეგმო – ისინი ხალხის მტრებად უკვნენ ალიარებულება. ხალხი ერთმანეთში ჩუმ-ჩუმად ხუმ-ხობდა: „საბჭოთა ავადმყოფი ყველაზე ჯანმრთელი ავადმყოვა მთელ ქვეყანაზე!“ „ჩენ აქ საოცრად ბედნიერები ვართ, ე კი, საზღვარგარეთ, მხოლოდ ფაშისტები და მტრები ცხოვ-რობენ!“ „ბედნიერი“ და „ჯანმრთელი“ საბჭოთა მოქალაქეების დიდი ნაწილი ყოველდამე შეიშით ელოდა სამმართველოს თანამ-რომლებს, მეზობელი მეზობელს ასმენდა... თუმანიშვილების ზოდან ჯერ ერთი მეზობელი წაიყვანეს, მერე – კიდევ ერთი, ემდეგ – მიშას ბიძა მიტია. ერთ დღეს მამასაც მიაკითხეს, იღაცამ დაასმინა, სახლში საიდუმლო, იატაკევეშა სტამბა ქესო... უსალმოდ შეაბიჯეს ბინაში, ისე იქცეოდნენ, თითქოს აკუთარ ოჯახში იყვნენ, ყველაფერი გაჩერიკეს, გადმოყარეს, ურ-დაურიეს... მიშას კარგად დაამახსოვრდა, როგორ ეხვენე-

ოოდა მამა ჩეკისტებს – რაც გინდათ ის ქენით, ოღონძ ბაგშ-
ები არ გააღვიძოთო! მერე მიშა დედასთან ერთად მთავარ
ოლიტიკურ სამმართველოში დადიოდა – მამისთვის ამანათები
იმპერიალისტური და იმპერიალისტური და იმპერიალისტური

მიშამ კი, იმპროვიზაციის
უნარი იქვე გამოამჟღავნა და
უხერხული მდგომარეობის
გამოსასწორებლად, ფიგაროს
კავატინა შეასრულა.

ნენენ, თუმცა ბოლომდე არ იცოდნენ, მიაღწევდა თუ არა მათი მანათი ადრესატამდე. „სამართველოს ქუჩაზე გავლისაც კი კვეშინოდა. ახლაც კი, რაღაც შიშით გავივლი ხოლმე ამ ქუჩას. - დაწერს მიხეილ თუმანშვილი მრავალი წლის შემდეგ - ისე დავდიოდით, რომ არავის ყურადღება არ მიგვეპყრო. ვცდი-ლობდი წარმომედგინა, როგორ ზის მამაჩემი ციხეში. მერე





კი...“ მამა სახლში აღარ დაპრუნებულა...

1940 წელს მიშა ჯარში გაინვიეს. ახალბედა ჯარისკაცმა თავი პირდაპირ ფრონტის წინა ხაზზე ამოყო – დასავლეთის საზღვარზე, ხელში შაშხანა მიაჩერეს და, ხელოვნებაზე მეოცნებე ბიჭი, სისხლისმელ ფაშისტებთან საომრად გაუშვეს. გერმანელების თვითმფრინავები გამუდმებით ბომბავდნენ

გონიერომ მოვიდა, მიხვდა,
მტრის საკონცენტრაციო
ბანაკში იყო, ტყვედ ჩავარდა.
დაჭრილი ჯარისკაცები
ერთმანეთზე ეყარნენ.

სოფლებს, მიწაზე გართხმული ჯარისკაცები შეშით ელოდნენ შეტევის დასასრულს, მერე ცოცხლები ერთმენთს გადარჩენას ულოცავდნენ... „არ მოვკედი, გუშინაც გადავვრჩი! საწყალი დე-დაჩემი...“ – ჩანტრა დღიურში 1941 წლის 23 ივლისს, ცხარე ბრძოლის შემდეგ. სიკვდილს კი გადაურჩა, მაგრამ მალე ფეხში დაიჭრა და ჰოსპიტალში დააწვინეს. საავადმყოფოში არათუ საჭირო მედიკამენტები, ბალიშებიც კი არ ჰქონდათ, მისას თავებებში წიგნი ამოუდეს, რატომდაც სათაური დამახსოვრდა – „მიკრობებზე მონადირე“. ისეთი აუტანელი ტკივილები ტან-

တန်ဖို့ကြပေးခွဲ ရှာမှု နာဂုံး၏ အဆင့် တော်မြန်မာ ဒါနရေး လေ

ჯავდა, ფიქრიც კი უჭირდა, ტკივილისგან გულიც მისდომდა ხოლმე. ერთ დამეს პოსპიტალიც დაიბომბა, ირგვლივ სულ უცხო ადამიანები დარბიან, ავადმყოფები იატაკზე ფორთხავენ, გარშემო ჭურვები ფეთქდება, ვისაც როგორ შეუძლია ისე ცდილობს თავის გადარჩენას... გონიზე რომ მოვიდა, მიხვდა, მტრის საკონცენტრაციო ბანაკში იყო, ტყვევდ ჩავარდა. დაჭრილი ჯარისკაცები ერთმანეთზე ეყარნენ, მიშას ყველა მხრიდან კვნესა და ტირილი ესმოდა. პირველი, რაც იმწამსვე გაახსენდა, კომ-კავშირის ბილეთი იყო, სასწრაფოდ მოძებნა და ჩექმაში გადამალა.

ბანაკში ყოველდღე 15-20 კაცი კვდებოდა, ზოგს ხვრეტდნენ, ზოგი კი ჭრილობებს და ავადმყოფობას ვეღარ უძლებდა, მათ ხომ არავითარ წამალს არ აძლევდნენ... ბანაკის გვერდით გერმანელებს დიდი ორმონები ამოეთხარათ და გვამებს იქ ყრიდნენ. 20 ოქტომბერს მიშამ, მეგობრებთან ერთად, როგორლაც ბანაკიდან გაქცევა მოახერხა. ჯერ ოდესისკენ გადაწყვიტეს გაქცევა, მაგრამ მაშინ იქ უკვე გერმანელთა ჯარები იდგა, ამიტომ გეზი შეცვალეს და დანერისკენ წავიდნენ, მაგრამ მოკლე ხანში ისევ ტყვედ ჩაგარდნენ. შეცყრობილები ლამე ძველი სკოლის შენობაში შეყარეს, მეორე დილით გამოათრიეს, ნიჩბები მიუყარეს და ორმონების გათხრა უბრძანეს. ტყვეებმა იფიქრეს, ალბათ საკუთარ საფლავებს გვათხრევინებენო – მაშინ ფაშისტებიც ასე იქცეოდნენ და კომუნისტებიც. საპედნიეროდ, გადარჩნენ, როგორც ჩანს, ის ორმონები სანგრებისათვის სჭირდებოდათ. გაქცევა აქედანაც მოახერხეს – სალამოს, ტუალეტში რომ გაიყვანეს, იქიდან გაიპარნენ, 30 კილომეტრი ირბინეს, თოვლში იმალებოდნენ, მაგრამ მიშა ისევ დაიჭირეს. გერმანელმა ოფიცერმა, რომელსაც, რატომდღაც, თავზე ფაფახი ეხურა, ჯერ უმოწყალოდ სცემა, შემდეგ პისტოლეტი ამოიღო, გერმანული გინებაც უხვად მიაყოლა და „დამპალი კომუნისტი“ ეზოში დასახვრეტად გაიყვანა. მთელი ომის მან-

ძილზე, სიკვდილის მიზან მიძას სულ თას სდევდა, თვალდაც აძ-
ბობდა, მე არ ვარ გმირი და უშიშარი ჯარისკაციო, თუმცა იმ
მომენტში, როდესაც გერმანელმა შუბლზე იარაღი მიადო, რა-
ტომდღაც, საერთოდ არ შეშინებია. ბეჭდა ამჯერადაც გაულიმა,
მოულოდნელად მისი თანამებრძოლები, პარტიზანული რაზმის
წევრები გამოჩნდნენ და გაათავისუფლეს.

1942 წლის 23 ივნისი: „ყუბანელი კაზაკების გვარდიელი კავალერიის კორპუსში მოვტვდი. სულ ცოტა ხნის წინ, სწორედ აქ ვლამობდი ფრონტის ხაზის გადაღახვას, ახლა კი ფრონტი – თვითონ მე ვარ!“

სამამულო ომი გვარდიის უფროსი სერუანტი თუმანიშვილის 1944 წლის ზამთარში, ქალაქ მელიქობოლის ჰოს-პიტალში დამთავრდა. დიაგნოზი – კისრისა და ყბის ჯირკვლების ტუბერკულოზი. მძიმე ავადმყოფი სამშობლოს გზას გამოუყენეს... მაშინაც არ ყვებოდა საომარ ბატალიერზე და არც ათეული წლების შემდეგ. ომსა და ტყვეობაზე ლაპარაკი საერთოდ არასოდეს უყვარდა, არ სიამოვნებდა მეხსიერებაში იმ მძიმე მოგონებების გაღვიძება, ერთს კი ალნიშნავდა ხოლმე – სასიამოვნო იმ დროიდან არაფერი მახსოვს, აი, საინტერესო კი ბევრი რამ იყოო. საუბარს გაურბოდა, მაგრამ სწორედ ეს „საინტერესო“ ამბეჭი და შთაბეჭდილებები თავისებურად აისახა ომის თემაზე შექმნილ მის სპეციალებში: „ადამიანებო, იყვაით ფხიზლად!“, „ზღვის შვილები“, „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“...

ფიქრსა და მუშაობას – ბევრს კითხულობდა, ნერდა სარეუსისო რო ექსპლიკაციებს... ერთ დღესაც, ოჯახის ახლობელმა, სახ ელგანთქმულმა მსახიობმა ელისაბედ ჩერქეზიშვილმა მოჰკიდ ხელი და თეატრალურ ინსტიტუტში წაიყვანა:

– ჩვენ მივდივართ, ჩემო აკაკი, – უთხრა ლიზამ თეატრალური ინსტიტუტის იმდროინდელ რექტორს – აკაკი ხორავას – ახალგაზრდებს უნდა დავუთმოთ გზა. შეხედე, რა სალდათა მოგიყვანე, ორდენებიანი და მედლებიანი! – და ჯარისკაცი ფარაჯასა და გაცვეთილ ჩექმებში გამოწყობილ გამხდარ ბიჭზე მიუთითა.

ნინელი ჩიქოვანი ბავშვობიდანვე გულით ავადმყოფობდა,
უმძიმესი მანკი სჭირდა, მისთვის ოდნავი ფიზიკური დატვირთვაც
კი სახითათო იყო.

ასე მოხვდა მიხეილ თუმანიშვილი თეატრალურ ინსტიტუტში, ახალგაზრდა პედაგოგის – გიორგი ტოვსტონოვის ჯგუფში. მასინ ვერავინ იციქრებდა, რომ ისინი მეოცე საუკუნის დიდი რეჟისორები გახდებოდნენ. ინსტიტუტის წლებაშე უდარდელი, მხიარული და შემოქმედებითი აღმოჩენებით აღსავს პერიოდი იყო. აქ იპოვა პირველი დიდი სიყვარული, სამსახობო ფაკულტეტის სტუდენტი – ნინო ჩიქოვანი. ეს გრძნობა ორმხრივი აღმოჩნდა. შეყვარებულები ბევრს სეირნობდნენ, დადიოდნენ თეატრში, ერთმანეთ

„კსპანელი გლობუსი“



զցելացրես ջնիարշեծնեն, ხშიրած ճյրուղեծաւ և Տեղրգնեն (մա-
შն շրտույրտօնքն ասետ որորմա մըթած პոպուլարույլո ոյս):
„Ի՞մո ձվորդասո, մինճա րալաւ հալուան յարցո ցութերա, մաշրամ
ար ցամոմթուու. դասանանիա, րոմ լցելեցն ճյրա ար զուու. այսմց
առասօնց մոցրմնու Շենճամո ասետ սոսցարույլո, Շեն հիմո Տո-
ւուցելու եար!... ակելազու մինճա ցացցու Տասյեն Շենս նօնաճացեծա-
նչյ - տանակեմա զար տոյ արա, ցաշեծյ Շենո մըյուղոյ?! մյ տանակեմա
զար. Յո, մյ մինճա Շենո զոյսու! Առցեխալուց დա մզաւդարուց, մակ-
ոնջուց დա յանմրտեղուց, ազածմպոցուց დա լամաճուց. մյ ար
Շեմունքու յշենուց, մյ ար մինճա յշենուց! մյ մինճա մուշու հիմո

ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ვუშმინო შენს ჯადოსნურ მოწოდებას მშვენიერებისკენ. შენ მიწაზე არ ცხოვრობ, ზღაპრების ქვეყანაა შენი ხვედრი... შენი ნინელი.“

ნინელი ჩიქოვანი ბავშვობიდანაც გულით ავადმყოფი იყო, უმძიმესი მანკი სჭირდა, მისთვის ოდნავი ფიზიკური დატვირთვაც კი სახიფათო იყო, მრავალი მიზეზი არსებობდა იმისათვის, რომ ოჯახი საერთოდ არ შეექმნა, მაგრამ ამ დიდ სიყვარულს ვერაფერო მოუხერხეს – მიშამ და ნინელიმ იქორნინეს. მოგვიანებით მათ ოჯახში პატარა გოგო – ელენე, მოფერებით –



„როცა ასეთი სიყვარულია“

ვიდად დავიწყე ჩემს სამუშაო მაგიდაზე წიგნების მოწესრიგებაო... როგორც ჩანს, დიდ ტკივილთან გამკლავება იმ მომენტში უბრალო, ყოფითი საქციელით სცადა.

მიხეილ თუმანიშვილმა მოგვანებით ხელმეორედ იქორნინა. მისი მეუღლე და ცხოვრების ერთგული თანამგზავრი ექიმი ლეილა ლლონტი გახდა.

ინსტიტუტი რომ დაამთავრა, აკაკი ხორავას სურვილითა და მიწვევით რუსთაველის სახელობის თეატრში „ჩავიდა“ – მაშინ ასე ამბობდნენ, რადგან თეატრალური ინსტიტუტი რუსთაველის თეატრის შენობის ბოლო სართულზე მდებარეობდა და თეატრში მიღებული კურსდამსავრუბულები სამუშაოდ ერთი სართულით ქვემოთ ჩადიოდნენ. მზრუნველი მასნავლებლების და თანამოაზრე ჯგუფელების გარემოცვიდან, ახალგაზრდა რეჟისორმა უეცრად უზარმაზარ შემოქმედებით ქარხანაში ამჰაყურ თავი: რუსთაველის თეატრში სულ სხვა სიკრცე და გარემო სუფევდა, აქაური ცხოვრების და შემოქმედების თამაშის წესები სრულიად განხსნავდებოდა იმ თბილი გარემოსგან, რასაც მიშა თეატრალურში შეეჩერია და შეიყვარა.

თეატრში „სანარმოო“ პიესა შეაჩერის – „მარადმინვანე ქედები“, ასე ერქვა იმ ნანარმოებს, რომლის დადგმაც დაავალეს. საქართველოს ნამყვან თეატრში მუშაობა ახალბედა რეჟისორმა, რასაკვირველია, დიდ პატივად მიიჩნია, მაგრამ ისეთი პიესის დადგმი, სადაც პერსონაჟები ჩაის კრეფლნენ და შრომით რეკორდებს ამყარებდნენ, სულაც არ ახარებდა. თითქოს შეეცადა ამ უხეირო, დრამატურგიულად გაუმართავ პიესაში რაიმე ხელჩასაჭიდი მაიც ეპოვა, მაგრამ მიხეილ თუმანიშვილის პირველი დადგმა რუსთაველის თეატრში რეჟისორის მარცხით დასრულდა. შემდეგი სპექტაკული „დაუკინებარი 1919“ მაყურებელმა კარგად მიიღო, პრესაშიც დადებითად შეაფასეს, მაგრამ თავად მაიც უქამყოფილი იყო, მიზეზსაც კარგად ხვდებოდა – არც ერთი პიესა მისი არჩეული არ იყო, არ აღელვებდა და ამიტომაც არ გამოუვიდა.

50-იან წლებში, რუსთაველის თეატრში ბევრი რამ აირია. მისი ხელმძღვანელი – აკაკი ვასაძე ამ კრიზის განსაკუთრებით განიცდიდა, თუმცა არც კომპრომისზე წასვლა უნდოდა, ჯიუტად ცდილობდა როგორმე გაეხანგრძლივებინა ძველი, ყავლებასული თეატრის დღეები. ახმეტელის დასის უკანასკნელი ლიდერი თვლიდა, რომ თეატრმა სახე დაკარგა, კოლექტივში ყველას თავისი პლატფორმა გაუჩნდა, ეს ახალგაზრდები ინსტიტუტში ნასანავლი და წიგნებში ამოკითხული თეორიებით და რეცეპტებით გვთავაზობენ თეატრის გადარჩენას. თავად ამ შემოქმედებითი ძიებების არ სწამდა, ასე ამბობდა: ეს რეცეპტები ჩვენი თეატრის ეროვნულ ბუნებას არ ესადაგება.

ახალგაზრდობის შემოქმედებითი აღმასვლა კი 1951 წლიდან დაიწყო – პირველი, უმნიშვნელოვანესი განაცხადი იულიუს ფუჩიკის „ადამინებო, იყავთი ფეიზლად!“ გახლდათ. ამას მიხეილ თუმანიშვილის რამდენიმე „კომპრომისული“ დადგმა მოჰყვა – თეატრში ჯერ ისევ ახალბედა იყო და როდესაც აუცილებელ, „სანარმოო“ პიესების დადგმას ავალებდნენ, უარის თემას ვერ ახერხებდა. ერთხელ, პირველი მაისის დემონსტრაციაზე აკაკი ხორავამ ჰქითხა:

- შენ ცეკაში გამოგიდახეს?
- გამომიძახეს, კულტურის განყოფილებაში.
- ვიცი. რაზე ისუბრეთ?
- თეატრშე – უბასუხა მიშამ და თან გაახსენდა, რომ იქ თეატრის პრობლემებზე ილაპარაკა, თქვა, რომ უმძიმს

იმის დადგმა, რაც მას არ აღელვებს, ის პიესაც დაუსახელა, რომელსაც სიამოვნებით დადგმიდა.

- ვიცი. გინდა „ესპანელი მღვდელი“ დადგა?

- მინდა.

- ხვალ მომიტანე როლების განაწილება.

მეორე დილით აკაკი ხორავას მაგიდაზე ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელის“ განაწილება იდა: ლოპესი – ეროსი მანჯგალაძე, დიეგო – ემანუელ აფხაძე, ამარანტა – მედეა ჩახავა, ლეანდრო – რამაზ ჩხიკვაძე...

ჯერ კიდევ პრემიერამდე ქალაქში ხმა გავრცელდა – რუსთაველის თეატრში რაღაც ახალი, საინტერესო წარმოდგენა მზადდება. სპექტაკულის არნაულმა წარმატებამ მოლოდინს ნამდვილად გადააჭარბა – ფარდის გახსნისთანავე, მაყ-

მოაზრენი პრინციპულად დაუპირისპირდნენ იმ დროისთვის უკვე დრომოქმულ გმირულ-რომანტიკულ თეატრს, დასრულდა ყალბი, პათეტიკური თეატრის ეპოქა და იწყებოდა რაღაც ახალი, ჯერ გაუცხობიერებელი, უჩვეულ შემოქმედების ხანა. თეატრში „მამათა“ და „შვილთა“ ურთიერთობა სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. უფროს თაობას ჯიუტად არ სურდა იმის დაჯერება, რომ ახალგაზრდა მსახიობები და რეჟისორები უკვე მზად იყვნენ საიმისოდ, რომ თეატრის გარდა ემნა დამოუკიდებლად დაეწყოთ. ამ პრომოლაში მიხეილ თუმანიშვილი მარტო არ იყო, თანამოაზრე არტისტთა „არმია“ უმაგრებდა ზურგს. თუმანიშვილის პირველი მსახიობები იყვნენ კოტე მახარაძე, ბადრი კობახიძე, გიორგი გეგეტქორი, მედეა ჩახავა, ეროსი მაჯგალაძე, მოგვიანებით ინსტიტუტიდან რამაზ ჩხიკვაძე

თავდაპირველად ჯგუფში ერთი რეჟისორი და შვიდი მსახიობი იყო, ამიტომ დიმიტრი ალექსიძეს მათ ხუმრობით იმსანად მუსიკალური ანსამბლის სახელი – „შვიდკაცა“ შეარქვა.

ურებელი დღესასწაულის, საზეიმო სანახაობის ტყვეობაში აღმოჩნდა, სცენაზე სიყვარული და იუმორი მეფობდა, მაყურებელთა დარბაზში კი განუწყვეტელი სიცილი. დიდ გამარჯვებას კიდევ მრავალი წარმატება მოჰყვა: „ფილოსოფიის დოქტორი“, „ამბავი სიყვარულისა“, „როცა ასეთი სიყვარულია“, „ზღვის შვილები“... ამ დადგმებით მიხეილ თუმანიშვილი და მისა თანა-

და გურამ სალარაძეც შეუერთდნენ. თავდაპირველად ჯგუფში ერთი რეჟისორი და შვიდი მსახიობი იყო, ამიტომ დიმიტრი ალექსიძემ მათ ხუმრობით იმსანად პოპულარული მუსიკალური ანსამბლის სახელი – „შვიდკაცა“ შეარქვა.

ერთხელ, სპექტაკლის შემდეგ, რესტორან „გემიოში“ შევიდნენ, ჭიქები ღვინით შეავსეს და ერთმანეთს შეჰვიციცეს, რომ

„შვიდკაცა“ – ჩვენ ახალ პილიკაშ ვეპეპლით ხელოვნებაში



შეეცადა ამ უხეირო, გაუმართავ პიესაში რაიმე მაინც ეპოვა, მაგრამ მიხეილის პირველი დადგმა რუსთაველის სცენაზე მარცხით დასრულდა.

მაშინაც კი, როდესაც უკვე რამდენიმე წლის შეულებულები იყვნენ. ბედნიერი ცხოვრება ხანგრძლივი არ აღმოჩნდა – ნინელის საშინელი შეტევა დაემართა, ლამის ნახევარი სხეული წაერთვა, ჯოხითაც კი ძალიან უჭრდა გადაადგილება. მიშა ისე უვლიდა, როგორც პატარა ბავშვებს დაპულოფინებენ ხოლმე უფროსები, მაგრამ თავადაც კარგად ხვდებოდა, რომ ავადმყოფს გამოჯანმრთელება არ ეწერა... ერთხელ უთქვაშა აღადგილება დასრულდა,



ავილე „შინაგანი“ და უათაზის აფრა ავუშვი

საუკუნოდ განუყრელნი იქნებოდნენ და ერთად შექმნიდნენ ახალ ხელოვნებას. „ჩვენ ახალ ბილიკებს ვეძებდით ხელოვნებაში...“ „შვიდკაცა“ თანდათანობით გაძლიერდა და რაოდენობრივადაც გაიზარდა, კოლეგებს სალომე ყანჩელი, კარლო საკანდელიძე, ზინა კვერცხილაძე, კიდევ სხვა ახალგაზრდა

და თავისი, განუმეორებელი და გასაოცარი ხელოვნება შექმნა. რეჟისორმა და „შვიდკაცამ“ მიზანს მიაღწეს!

თუმცა, როგორც ხშირად ხდება, თანამოაზრეთა შორის პირველი ბზარები თავპრუდამხვევი ნარმატების მწვერვალშივე გაჩნდა, ჯერ ოდნავ შესამჩნევი ბზარი მალე კონფლიქტშიც გა-

{ ზაქარიაძემ განაცხადა: „მე ვითამაშებ პატარა დეგენერატს, რომელმაც ისიც კი არ იცის, რომ ორჯერ ორი ოთხია!“ }

მსახიობები და თვით სერგო ზაქარიაძეც შეუერთდნენ. ძველი თაობის არტისტები მათ ძიებებს „ყოფითობას“ და „ფსიქოლოგიზმს“ უწოდებდნენ, თვლიდნენ, რომ ისინი ნანარმოების დამდანებაზრდა ამახნავებდნენ და ახალგაზრდების თავისუფალ ექსპერიმენტებს მხოლოდ მოდის გამოძახილად, სხვათა მიბაძვად მიიჩნევდნენ. აკაკი ვასაძე ირონიით გაიძახოდა – ამერიკით ჩვენ 20-იან წლებში ვიყავით გატაცებული და მერე უარი ვთქვითო. ყველაფრის მიუხედავად, თეატრში გარდაუვალი რამ მაინც მოხდა – ერთმა თაობამ მეორე ნელ-ნელა ჩაანაცვლა

გოგობა ინსტიტუტის დასრულებისთვავე შესთავაზა აკაკი სორავამ და მიშაც სიამოვნებით დათანხმდა. გატაცებით მუშაობდა მომავალ მსახიობებთან, ხშირად ინსტიტუტის პატარა სცენაზე ახერხებდა იმ შემოქმედებითი სურვილების დაკმაყოფილებას, რის საშუალებასაც ხანდახან რუსთაველის თეატრში არ აძლევდნენ.

როული თეატრალური ვწებათალელვების მიუხედავად, თანამოაზრებთან ერთად ისევ ახალ შემოქმედებით ამოცანებზე ფიქრობდა, კვლავინდებურად იკრიბებოდნენ და საუბრობდნენ, კამათობდნენ, ოცნებობდნენ, ახალი მიზანიც დაისახეს – მაშინ

დარბაზი ჰქონდა, სწორედ ამ საკონცერტო დარბაზის მცირე სცენად გადაკეთება განიზრახეს. კამერულ გარემოში ხომ უკეთ შეძლებდნენ მაყურებელთან და თავიანთი შემოქმედებითი ძიებების გაგრძელებას. მაგრამ არც ეს საქმე აღმოჩნდა იოლი. რა საჭიროა ეს მცირე სცენა, როცა დიდი გვაქვს?! საბოლოოდ გინდათ ყველაფრის აღმოფხვრა და დანგრევა – ისმოდა თეატრში სკეპტიკური შენიშვნები...

მცირე სცენის „გახსნისთვის“ მიხეილ თუმანიშვილმა მარსელ კარნეს პიესა – „მატყუარები“ აირჩია, როლებიც გაანანილა: სერგო ზაქარიაძე, რამაზ ჩხითაძე, გურამ სალარაძე, იზა


{ „იდეურად ბუნდოვანი და მხატვრულად სუსტია. ჩვენ მკაცრები უნდა ვიყოთ, რადგან დროა, რომ თეატრის საუკეთესო ნიჭი ასეთ ექსპერიმენტებზე არ იხარჯებოდეს“ – ასე შეაფასეს ზემდგომ ორგანოებში „ზაფხულის ღამის სიზმარი“. }

მთელ საბჭოთა კავშირში პატარა თეატრ-სტუდიები მომრავლდა, თანამოაზრებმაც მოინდომეს თეატრში სტუდიის მსგავსი რამ ჩამოეყალიბებინათ, დაინტეს კიდევ ამ საქმისთვის ბრძოლა, თუმცა არაფერი გამოუვიდათ. ფარ-ხმალი არ დაყარეს და ერთი იდეა უმაღვე მეორეთი შეცვალეს – რუსთაველის თეატრს იმხანად მხოლოდ ერთი დიდი და ერთიც საკონცერტო

გიგოშვილი, სოფიკო ჭიაურელი... დიდი გატაცებით შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ რეპეტიციები მოულოდნელად შეაწყვეტინეს. თქვეს, რომ ეს წარმოდგენა თეატრის ტრადიციებს ეწინააღმდეგება... „მატყუარების“ აკრძალვამ კრიზისული ვითარება კიდევ უფრო გააღმატა. მეგობრებმა ფარ-ხმალი არც ახლა დაყარეს, მცირე სცენის გახსნის იდეას ასე ადვილად ვერ შეე-

„ზაფხულის ღამის სიზმარი“





ლეოდნენ. „რა გაეწყობოდა, ერთი რამ თუ არ დაგვანებეს, მეორე უნდა ვცადოთ და მეც სანინალმდევო მხარეს მივაწყდი – ავიდე „ჭინჭრაქა“ და ფანტაზიის აფრა ავუშვი“ – წერდა რეჟისორი მოგვიანებით.

1963 წელს „ჭინჭრაქამ“ რუსთაველის თეატრის მცირე სცენა გახსნა და ამავდროულად ეს სპექტაკული „შვიდყაცას“ და მიხეილ თუმანიშვილის გედის სიმღერა აღმოჩნდა, 20 წლის წინ დაწყებული ერთმორნმუნეობა ზღაპრის გათამაშებით დაგვირგვინეს... თუმცა მანამდე იყო გასაოცარი, იმპროვიზაციითა

„უკვე აღარ შემიძლია ამის მოთმენა. უურნალი აღარ არის, რომ არ გაველანძლე და განგაში არ აეტეხა ჩემი მეთოდის მავნეობის გამო.“

და იუმორით დახუნდლული რეპეტიციები. უკვე სახელმოხვეჭილმა მსახიობებმა თავიდან კი თითქოს ითაკილეს მგლები და დათვები როგორ უნდა ვითამაშოთ, მაგრამ როდესაც პირველ რეპეტიციაზე დევის როლის შემსრულებელმა სერგო ზაქარიაშვილმა განაცხადა: „მე ვითამაშებ პატარა დევენერატის, რომელმაც ისიც კი აცის, რომ ორჯერ ორი თოხია!“ და ბავშვით ცელქობა და ხტუნაობა ნამოიწყო, ყველა დანარჩენი

თუმანიშვილი ინცეპციასავით მოეძალა ჩართულ თეატრს – წერდენ არასაში

მსახიობისთვის მისაბაძი მაგალითი გახდა – ასეთმა დიდმა არტისტმა თუ მიღილ რეჟისორის შემოთავაზებული პირობითობა, სცენაზე ყირა გაჭიმა და პატარა დევი ითამშა, მაშინ ჩენენც მოვირგებთ ცხოველების როლებსო.

ამ ლამაზ და უბრალო ზღაპარში სიკეთე სძლევდა ბოროტებას, გლეხის ბიჭი ჭინჭრაქა – კარლო საკანდელიძე და მეფის ასული მზია – ბელა მირიანაშვილი ამარცხებდნენ სულელ დევს – სერგო ზაქარიაშვილი და მის ვეზირ ქოსიოს – რამაზ ჩხიკვაძეს. ამავე დროს, სპექტაკლი დასცინოდა მლიქვნელობას, მპრანანდლისადმი მონურ მორჩილებას, მეშჩანობას... „ჭინჭრაქში“ ყველა ასაკის მაყურებელი პოულობდა თავისთვის საინტერესოსა და ახლიერებს, რამდენიმე წლის მანძილზე დარბაზი ვერ იტევდა მაყურებელს ვერც დღის და ვერც საღამოს წარმოდგენებზე.

„იდეურად ბუნდოვანი და მხატვრულად სუსტია. მეთოდოლოგიურად მცდარია პიესის რეჟისორული გადაწყვეტა. ჩენენ მცაცრები უნდა ვიყოთ, რადგან დროა, რომ თეატრის საუკეთესო ნიჭი ასეთ ექსპერიმენტზე არ იხარჯებოდეს“ – ასე შეაფასეს ზემდგომი ორგანოებში მიხეილ თუმანიშვილის შემდეგი სპექტაკლი – უილიამ შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“. პრესაში გამოქვეყნებულმა კრიტიკამ ხომ სულ მიწასთან გაასწორა: მცდარ შემოქმედებით გზას დასდგომიხარ და კურსი დროულად შეცვალეთ – ურჩევდნენ „კეთილისმურენი“. ზოგი წარმოდგენის მაძიერ პორნოგრაფიულ და ეროტიკულ ხასიათსაც უსვამდა ხაზს. ერთმა კრიტიკოსმა ისიც კი დაუწერა, წმიდათანწიდა ტრადიციებისგან განდგომა აღარ იქმარე და ახლა ამ ტრადიციების ჩანიხვლასაც მაჰვაცი ხელი! შემდეგ სხვა, მანამდე დადგმული სპექტაკლების ლანდვაც დაიწყო – თუმანიშვილი ინფექციასავით მოეძალა ქართულ თეატრის, წერდნენ პრესაში. აგრესია დღითი დღე ძლიერდებოდა, რაც, ბოლოს, მიხეილ თუმანიშვილის წინააღმდეგ ღია ბრძოლაში გადაიზარდა!

„უკვე აღარ შემიძლია ამის მოთმენა. უურნალი აღარ არის, რომ არ გაველანძლე და განგაში არ აეტეხა ჩემი მეთოდის მავნეობის გამაგდებელი ამოგალპობო და უკვე აღარ ვიცი, რა ვქნა...“ ერთხანს მოსკოვში გაქცევით უშველა თავს, ლენკომის თეატრში მიინვიეს დადგმაზე. სამშობლოში დაბრუნებულმა ბრძოლა თავისებურად, შემოქმედებითი ხერხებით განაგრძო, მაგრამ თავისი მტკაცე პოზიციის გამოხატვის საჭირო პიესას მაინც ვერ პოულობდა. ამ დროს ოჯახშიც მძიმე, დაძაბული ვითარება იყო – ნინელის ჯანმრთელობა კატასტროფულად უარესდებოდა, მიშა თითქოს ცდილობდა თვალი დაეხუჭა კარს მომდგარ უბედურებაზე, მაგრამ ბოლომდე ამასაც ვერ ახერხდა... ოდნავ შვებას ბუნებაში თუ გრძნობდა, სეირნობსას. იმ პერიოდში განსაკუთრებით გაუძლიერდა ბუნებასთან სიახლოების სურვილი, ხშირად მარტო მიღიოდა ტყეში, უცნაური ფორმის ფესვებს ექცებდა და შემდეგ თავისებურ ქანდაკებებად გარდაქმნიდა ხოლმე. ასეთი ქანდაკებებით უხვად ასაჩუქრებდა ახლობლებს.

ერთხელ უცნობი ადამიანისგან ასეთი წერილი მიიღო: „თუ თქვენ არასოდეს გიმძიმდათ, თქვენი ფასი კაპიკი ყოფილა. კარგია, რომ უსიამოვნება შეგხვდათ. გილოცავთ, გისურვებთ დიდ წარმატებას!“

კარგია, რომ უსიამოვნება შეგხვდათ. გილოცავთ, გისურვებთ დიდ წარმატებას!

მალე საჭირო პიესაც იპოვა, ისეთი, მასში დაგროვილ უზარმაზარ სათემებს რომ დატევდა – უან ანუის „ანტიგონე“. „ანტიგონე იღუპება იმიტომ, რომ არაა თანახმა ილაპარაკოს და მოიქცეს ისე, როგორც ეს ვიღაცას სჭირდება, მას უნდა ისე ილაპარაკოს, როგორც თვითონ ფიქრობს. მას არ შეუძლია დაიჯეროს, რომ წესრიგი აუცილებლად მოითხოვს სიცრუეს. – უხსინიდა რეპეტიციებზე ანტიგონეს როლის შემსრულებელ ზინა კვერენტხილაძეს და, ამავე დროს, თითქოს საკუთარ თავზეც კი საუბრობდა – ანტიგონე „არას“ სათემელად და დასალუპადაა დაბადებული!“

ვერდიქტი უმაცრესი იყო – ეს წარმოდგენა ყოველნაირი ხელისუფლების წინააღმდეგია, მაშასადამე, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგიც.

– თუ ასეა, მოხსენით წარმოდგენა! – ვერ შეიკავა თავი რეჟისორში – პრინციპულები ხომ უნდა იყოთ, ჰოდა, მოხსენით!

– რატომ, ჩვენ არ მოვხსნით სპექტაკლს, ჩვენ მხოლოდ ვმსჯელობთ, შემდეგ კი შესაბამის დასკვნებს გამოვიტან – მიუკო ცეკას იდეოლოგიის განყოფილების გამგებ.

– ან რატომ უნდა მოვხსნა? ამ სპექტაკლს მაყურებელი არ ეყოლება – ისედაც მოიხსნის თავის თავს. – გააკეთა პროგნოზი ერთ-ერთმა მოხელემ. „ანტიგონე“ გადარჩა!

„ანტიგონე“ გადარჩა!

ერთხელ უცნობი ადამიანისგან ასეთი წერილი მიიღო: „თუ თქვენ არასოდეს გიმძიმდათ, თქვენი ფასი კაპიკი ყოფილა. კარგია, რომ უსიამოვნება შეგხვდათ. გილოცავთ, გისურვებთ დიდ წარმატებას!“

დადგა ე.ნ. ჩაბარების დღეც. „ანტიგონე“ კულტურის სამინისტროს და ცეკას მაღლანიშნოსანთა სამსჯავროზე გამოიტანება. გენიალური სპექტაკლის ბედი ბეწვზე ეკიდა – სცენიდან რეჟისორი ლიად ადიდებდა პიროვნების თავისუფლებას, მაღალ ზნებას, უარს უცხადებდა მონობას და ძალადობას! და, თანაც, რა დროს? – 1968 წელს, პრაღის ტრაგიული ზაფხულის შემდეგ! საქართველოს კულტურის მინისტრი ჭკვიანი კაცი იყო და ზუსტად ჩაწერა თუმანიშვილის სათემელს. მისი

„ანტიგონე“





რობერტ სტურუასთან და თემურ ჩხეიძესთან ერთად

ყველა მათგანი უკვე სახელმოხვეჭილი ხელოვანი გამზღვდარიყო, ცალ-ცალკე ქმნიდნენ, მაგრამ ერთად რაიმე მნიშვნელოვანის შექმნა უკვე ალარ შეეძლოთ და ალპათ ალარც აინტერესებდათ. პირად ცხოვრებაშიც ისევ უმძიმესი ხანა ედგა, ყოველგვარი ბინძური ხერხებით ებრძოდნენ: ათასანარი მუქარის შემცველი ანონიმური წერილები, ასეთივე სატელეფონო ზარები სახლში, ბინის კარზე ცარცით მიწერილი უხამსი სიტყვები...

იოდა...

შინ რომ მივიდა, სახლის კარში გარქობილი აკაციის ყვავილები და წერილი დახვდა: „ვიყუავით თქვენთან, მაგრამ არ ბრძანდებოდთ. ჩვენ თქვენ ძალიან გვიყვარხართ, ჩვენ თქვენ გვჭირდებით, ჩვენ თქვენ გელით!... თქვენი მოწაფეები: ნუგზარი, ნანა, მარინე, დათო, მანანა...“ თეატრიდან წამოსული რეჟისორის ბინაში არ წყდებოდა სატელეფონო ზარები, საქა-

**{ მიხეილ თუმანიშვილი ისევ თეატრში ალმოჩნდა, ოლონდ ახლა
სრულიად განსხვავებულ, უფრო პატარა თეატრში, თითქმის
ისეთში, მცირე სცენის გახსნამდე რომ ოცნებობდა. }**

1970 წელს მიხეილ თუმანიშვილმა დატოვა რუსთაველის თეატრი, ადგილი, სადაც დაიბადა, როგორც ხელოვანი და 22 წელი იღვანა. „რეჟისორი თეატრიდან წავიდა“ – ასე უწოდა თავის წიგნს, სადაც წასვლის მიზეზებ თავადვე ახსნა – „მე მაშინ წავედი თეატრიდან, როცა ვიგრძენი, რომ საბოლოოდ დავკარებე ჩემს ამხანაგებთან დამაკავშირებელი ძაფი, მათ ახალი ინტერესები გაუწინდათ. პრობლემები, რომლებიც მე მაღლელვებდა, მათ უკვე არ აწუხებდათ. მე მაშინ წავედი, როდესაც ვიგრძენი, რომ ჩემი თეატრის თეატრის პორტონიზე, ჩემი დახმარებით, გამოჩნდნენ ახალი ლიდერები. კარი მოვიჯაუნე და ქუჩაში გამოვედი. მზიანი დღე იდგა. პროსპექტზე ხალხის ტევა არ იყო. ყველას სადღაც მიეჩარებოდა – თითქოს არც არაფერი მომზდარიყოს.“ არავის უკითხავს რატომ ან სად მიდ-

რთველოს და საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა თეატრში ინვევდნენ. საყუარელი პედაგოგის – გიორგი ტოვსტონოვის პეტრებურგში მიწვევაც კი უარყო... არაფრის გაგონება არ სურდა, მხოლოდ მარტო ყოფნა უნდოდა და ფირო... გადაწყვეტილება მაღლე მიიღო და იმათთან წავიდა, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა – სწავლის სურვილით ანთებულ, პედაგოგზე შეყვარებულ ახალგაზრდებთან!

ლექციაზე შინაგანად დაცლილი და ემოციურად დაღლილი მივიდა. სტუდენტები კი თვალებში შესციცინებდნენ, პედაგოგისგან მორიგ შემოქმედებით სასწაულს ელოდნენ, მიშა კი სიცარიელის გარდა ვერაფერს გრძნობდა. იჯდა ასე სტუდენტების წინ და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა, ბოლოს ძალა მოიკინა და უთხრა: მოდით, ვითამაშოთ!

1978 წლის 14 იანვარს კი – ქართული თეატრის დღეს, საქართველოს კიდევ ერთი თეატრი შეემატა – კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო. თეატრ-სახელოსნოს ხელმძღვანელი – მიხეილ თუმანიშვილი, სამსახიობო დასი – მისი ექსპერიმენტული ჯგუფი, რომელმაც სწავლა გახმაურებული სპექტაკლით დამთავრა – „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“. თეატრის დაარსებაში რეზო ჩხეიძემ და აკაკი დვალიშვილმა უდიდესი მონაწილეობა მიიღეს. მიხეილ თუმანიშვილი ისევ თეატრში ალმოჩნდა, ოლონდ ახლა სრულიად განსხვავებულ, უფრო პატარა თეატრში, თითქმის ისეთში, მცირე სცენის გახსნამდე რომ ოცნებობდა.

უთეატრობა არც ისე უბრალო ამბავია, როგორც გეჩვენება – მიუგო ძველმა მეგობარმა.

მეორე დღეს ეროსი ახალგაზრდა კოლეგებს ქლვენით ხელ-დაშვენებული მიადგა – თეატრიდან „ჭიშჭრაქას“ ფარდა მოუტანა, რომელმაც ბინა ახალი თეატრის სამსახიობო ფორეში დაიდო, ეროსი მანვეგალაძე კი თავის მშობლიურ თეატრშიც დარჩა და კინომსახიობთა თეატრის დასშიც ჩაწერა. დროთა განმავლობაში ზოგმა მიწაფემ დატოვა სახელოსნო, თუმცა ასეთებს ახალ მსახიობთა ჯგუფები ცვლიდა. თეატრს შეემატენენ მიხეილ თუმანიშვილისა და ლილი იოსელიანის სტუდენტები: ნინელი ჭანკვეტაძე, ზურა ყიფშიძე, ლევან ურანეგიძე, ლევან ურანეგილი,

**{ თუმანიშვილი დარბაზში შედის, თავის მრგვალ მაგიდასთან სკამზე მშვიდად ჯდება, საოცრად მობილიზებულია, ხსნის ჩანთას, იღებს პიესას და პატარა ზარს, თავის განუყრელ ჯოხს, კრიალოსანს.
ზარს რეკავს და რეპეტიციაც იწყება... }**

ერთ საღამოს, სტუდიელებთან ერთად ვაკეში ფეხით მისეირნობდა. უცემ მანქანა გაჩერდა და იქიდან ეროსი მანჯგალაძე გადმოვიდა.


– რუსთაველის თეატრიდან მივდივარ. მიმიღებ შენს სახელოსნოში?

– მიგიღებ, ოლონდ რუსთაველის თეატრიდან წუ წამოხვალ.

გოგა პიპინაშვილი, გია როინიშვილი, რამაზ იოსელიანი, რუსულად ბოლქვაძე, ნინო ბურდული... თეატრ-სტუდიას თავისი წესები ჰქონდა: პირველ რიგში, მკაცრი, თითქმის სამხედრო რეჟიმი, ყოველდღე ვარჯიში მეტყველებაში, მსახიობის ოსტატობაში, პლასტიკაში, იმპროვიზებული ეტიუდები, შემდეგ კონკრეტული პიესის რეპეტიცია. სპექტაკლის დაწყებამდე ან

როცა მიშა თეატრში ველარ ძლეპლა, ვეგას სტუდენტებთან მუშაობაში პოულობა





ახალი მსახიობის მიღებისას, თავიანთ მოფიქრებულ, განსაკუთრებულ რიტუ- ალებს ატარებდნენ – თეატრი ერთ-გვარი ტაძრი გახდა ახალგაზრდებისთვის, პედაგოგი კი – ამ ტაძრის უზენაესი ქურუმი.

თავის მრგვალ მაგიდასთან სკამზე მშვი- დად ჯდება, საოცრად მობილიზებულია, ხსნის ჩანთას, იღებს პიესას და პატარა ზარს, თავის განუყრელ ჯოხს, კრიალ-ოსანს. ზარს რეკავს და რეპეტიციაც იწყება...

ეს ნინელიზე და ჩემზეა, ჩვენი სევდიანი ისტორიაა – მიაწერა სარეჟისორო ექსპლიკაციის ერთ გვერდს.

იგი ყოველ რეპეტიციაზე მომზადე- ბული მიდიოდა, მაგრამ მსახიობებთან ერთად თხზავდა თითოეულ მოვლენას, წარმოდგენის ფერსა და ქულერადობას, გრძნობათა ბუნებას... რეპეტიციის დაწ- ყება მთელი რიტუალია: მიხეილ თუმან- იშვილი სარეპეტიციო დარბაზში შედის,

სპექტაკლს სპექტაკლზე უშვებდნენ: „ესმერალდა“, „ბაკულას ლორები“, „საქმე“, „დონ უუანი“, შეგირდ რეჟი- სორთა დადგმები... ამ რეპერტუარით მოიარეს პეტერბურგი, მადრიდი, ელინ- ბურგი, ინგლისი, ლათინური ამერიკა, პარიზი. მიშა იშვიათად მიპყვებოდა

ერთ დღეს აღმოაჩინა, რომ თეატრალურ სამყაროში ყველაზე მცველვაია

თეატრს უცხოეთში, აღარც ასაკი და ჯანმრთელობა უწყობდა ხელს. თანაც, ცოტა არ იყოს, ფრენისაც ეშინოდა. როდესაც მსოფლიოში განთქმულმა რე- ჟისიორმა პიტერ ბრუკმა „დონ უუანი“ იხილა, აღფრთოვანებულმა განაცადა: „ეს ჩემი თეატრია! თუმანიშვილი ჩემი რეჟისორია! აი, ამას ვუწოდებ ცოცხალ თეატრს! მოლიერს რომ ეს სპექტაკლი ენხა, კრაიოლი დარჩებოდა და მად- ლობას გეტყოდათ.“

60 წლის მიხეილ თუმანიშვილი სა- კუთარ თეატრს ხელმძღვანელობს, საძჭროა კავშირის სახალხო არტისტის წოდებაც მიანიჭეს, მისი შემოქმედება უკვე საკავშირო საზღვრებს გასცდა და მსოფლიო აღიარება მოიპოვა, სახლშიც მშვიდი გარემოა – მზრუნველი მუსულე, შვილი, სიძე, უსაყვარლესი შვილშ- ვილები – ყველა მასზე ზრუნავს და თავს ევლება. შიგადაშივ გული აწუხეს, უფრო იოლად ილება, ვიდრე უწნი, მა- გრამ ეგ არაფერი, მთავარია, ისევ თა- ვის სათავანებელ საქმეს – თეატრს ემ- სახურება. მიხელ თუმანიშვილი თავისი ცხოვრების სწორედ ასეთ ეტაპზე დგამს წარმოიდგენას, რომელსაც თავის ერთ- ერთ უსაყვარლეს ქმნილებად მიიჩნევდა – „ჩვენი პატარა ქალაქი“.

პიესაზე მუშაობას ეროსისთან ერთად შეუდგა – სურდათ დაედგათ სპექტა- ლი წარსულზე, განვლილ ცხოვრებასა და განცდებზე, სიკვდილსა და სიყვარ- ულზე... მიშამ ამ წანარმოებში რაღაც ძალიან თავისი, პირადი დაინახა – ეს ნინელიზე და ჩემზეა, ჩვენი სევდი- ანი ისტორიაა – მიაწერა სარეჟისორო ექსპლიკაციის ერთ გვერდს. გადაწყდა, თორნთონ უალდერის პიესისთვის ქარ- თული ქლერადობა მიეცათ და ეს მისია რეზო გაბრიაძეს დააკისრეს, რომელმაც ამერიკის ერთი პატარა ქალაქის ამბავი გადმოაქართულა, უფრო სწორად კი – გადაქუთაისურა და განუყრელებელი, იმერული სული შთაბერა. ეროსის საო- ცრად მოსწონდა პიესის გაბრიაძისული ვარიანტი, სპექტაკლში მას რეჟისორის ხანში შესული თანაშემწის როლი უნდა შეესრულებონა. გატაცებით მუშაობდა, ცდილობდა იმხანად მოძალებული დარ- დი და მარტორბის განცდები საქმით გაექარვებინა... სამწუხაროდ, ამ როლის თამაში არ დასაცალდა...

ეროსის გარდაცვალების შემდეგ, მიშა კიდევ უფრო გაუმძაფრდა ამ

პიესაზე მუშაობის წყურვილი. ეროსის როლზე მათი საერთო მეგობარი და ძველი თანამოაზრე – გიორგი გეგეჭკორი მი- ინვია. მაინც დაიდგა ეროსისთვის ასე საყვარელი პიესა და შემქმნელებმა იგი სწორედ მის ხსოვნას მიუძღვნეს. „ჩვენი პა- ტარა ქალაქი“ მიხეილ თუმანიშვილის უდიდესი შემოქმედებითი მწვერვალი გახდა.

ცხოვრების მინუტულს ხშირად ფიქრობდა განვლილ გზაზე: „რით ვარ მდიდარი? – 7 სპექტაკლი: „ადამიანებო, იყვათ ფხი- ზლად!“, „როცა ასეთი სიყვარულია“, „ქინჭრაქა“, „ანტიგონე“, „ესპანელი მღვდელი“, „ბაკულას ღორები“, „დონ უუანი“, „ჩვენი პატარა ქალაქი“. რატომ მაინცდამაინც ეს დადგმები? – ისინი, ფაქტორულ ერთმანეთისაგნ განსხვავებული პატარ-პატარა სამყაროებია.“ ერთ დღეს აღმოაჩინა, რომ თეატრალურ სა- მყაროში, თურმე ყველაზე მხცოვანია, მისი თაობიდან უკვე ბევრი ნავიდა იმ კვეყნად. მუშაობა მაშინაც არ შეუწყვე- ტია, როდესაც 90-იან წლებში ქვეყანაში ყველაფერი აირია, ტყვიების ზუზუნს საოცრად რომანტიკული დადგმით უპასუა

ში გაყინულ სარეპეტიციოში მუშაობისას ხშირად ხუმრობდა „ხეები ზეზეურად კვდებიანო.“

ერთხელ თავის მეგობარს, თეატრმცოდნე ნათელა ურუშა- ებს, თითქოს ხუმრობით, ჰეთხა:

– როგორ ფიქრობ, ამ ქვეყნიდნ რანაირად წავალო?

– მე მგონია, რომ ჩემი და შენი სიცოცხლე გზაში დასრულ- დება – უპასუას მოულოდნელი შეკითხვით ოდნავ დანეულმა ნათელამ.

– რომელ გზაში?

– რომელზედაც დავდივართ დაუსრულებლად: სახლიდან თეატრისკენ და პირიქით.

მიშას ასეთი ვარიანტი მოეწონა.

დიდმა რეჟისორმა ცხოვრება თითქოს მართლაც გზაზე დასრულა – ახალი შემოქმედებითი მწვერვალისეკნ მიმავალ გზაზე – ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ დადგმას აპირებდა, მაგრამ ვერ მოასწორო – 75 წლის შეუწერებელი მუშაობის შემდეგ, 11 მაისს მიხეილ თუმანიშვილის გულისცემა შეწყდა...

**თეატრში თავადაც სულ ფეხით დადიოდა, ეს ჩვევა
ახალგაზრდობიდან გამოჰყოვა, სიამოვნებდა საყვარელ ქალაქში
სეირნობა და ამ დროს თეატრზე ფიქრი.**

– კიდევ ერთხელ მიუბრუნდა შეესპირის „ზაფხულის ღამის სიზმარს“. „ჩამოგეძინათ სკამზებზე თითქოს და რაც აქ ნახეთ, სიზმარი იყონ“ – ეუბნებოდა ზღაპრის დასასრულს მხიარული პაკი გათოშილ და ნახევრად მშიერ მაყურებელს, რომელიც სახლში აღბათ ფეხით, საუკეთესო შემთხვევამი კი, მეტროთი დაბრუნდებოდა. თეატრში თავადაც სულ ფეხით დადიოდა, ეს ჩვევა ახალგაზრდობიდან გამოჰყოვა, სიამოვნებდა საყვარელ ქალაქში სეირნობა და ამ დროს თეატრზე ფიქრი. ბოლო წლებ-

„გადავდივარ დიდ ხიდზე. მალე მივადგები ძველი კინოსტუ- დის ჭიშკარს და ტერიტორიას, რომელზეც დგას ჩვენი თეატ- რი. ახლა დავინახავ მსახიობთა ნაცნობ სახეებს. გავალებ კარს, ჩვენ ერთად შევალთ შენობში, სცენაზე ავალთ და დავიწყებთ რეპეტიციას. მე თეატრში მივდივარ. სხვაგან, აბა, სად უნდა მივდიოდევ?“

ანანო მირიანაშვილი

„ჩვენი პატარა ქალაქი“

